

## Христианская и Магометанская религия в Аджарии - краткий психологический анализ<sup>\*</sup>)

Цира Путкарадзе

Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили, кафедра социальной психологии

### Аннотация

Труд начинается с обзора исторического прошлого Аджарии. Описана тяжкая участь, которую уделили им турецкие завоеватели. Насильственная смена религии и внедрение магометанских традиций помешали возрождению очагов культуры в Аджарии.

В течение трехсот лет турецкие завоеватели рушили церкви, уничтожали любой признак грузинского. Этот страшный кошмар продолжался до русско-турецкой войны 1877-78 гг., когда Аджария окончательно освободилась от рабства и возвратилась к Матери-Грузии.

В труде дается краткое описание того, что в период социализма в Аджарии стало обязательным всеобщее среднее образование, хотя государство осудило религию и служение религии.

Всеобщее образование населения высокогорных сел целенаправленно проводилось с начала 2-ой половины 20-го века. Если учесть тот факт, что трехвековое сожительство с турками оказало своеобразное влияние на речь проживающего в Аджарии населения, именно после открытия общеобразовательных средних школ в их речевой культуре произошло возникновение «фильтрующего эффекта». Население уже могло пользоваться определенной, свойственной грузинскому народу речевой культурой. Для населения культура и просвещение стали приоритетными в контексте с другими культурами.

В труде сделан краткий психологический анализ, чем именно вызвана толерантность двух религиозных течений - христианства и магометанства.

В труде описано, каков итог проведенных в Аджарии экспериментов по исследованию ценностей и ценностных ориентаций Грузин-христиан и Грузин-магометан. Оказалось, что проживающие в Аджарии Грузины больше идентифицируются с национальностью, чем с религией.

**Ключевые слова:** Христианская религия, Магометанская религия, Аджария, психологический анализ

Аджария - один из коренных уголков Грузии со своеобразным бытом, убеждениями и религиозностью. Официальные источники и руины церквей подтверждают, что именно с Аджарии началось вхождение христианской религии в Грузию.

В речевой культуре Грузинского этноса часто упоминается слово “Аджарцы”. Кто они, аджарцы?

Аджарцы - одна из этнических групп Грузин. Они - основное население Аджарской автономной Республики. Родной язык - грузинский. В период турецкого господства (II пол. XVI в. - 1878) завоеватели принудили их принять магометанскую веру. Несмотря на насильственное отуречивание, Аджарцы сохранили национальное самосознание, родной язык; однако насильственное превращение в мусульман наложило своеобразное клеймо на их культуру. Об этом писал Вахушти Багратиони, что южные Грузины раньше “почитали знания и культуру, только ныне из-за магометанства забросили” [1. стр. 123].

<sup>\*</sup>) Текст статьи публикуется на двух языках: русском и грузинском

В разных уголках южной Грузии христианство, так или иначе, сохранилось. Например, большинство населения Кларджети стало магометанином. “Не было там больше христиан, разве что только крестьяне, и даже их осталось мало в Самцхе, совсем не осталось в Джавахети и очень мало - в Шавшети, Аджарии и Артани” [2. стр. 264].

В течение трехсот лет турецкие завоеватели проводили в Аджарии строгую ассимиляционную политику - рушили церкви, уничтожали любой признак грузинского. Как для низших, так и для высших слоев ставшего магометанином населения знание турецкого языка стало обязательным. Этот страшный кошмар для проживающего в Аджарии населения продолжался до русско-турецкой войны 1877-78 гг., когда Аджария окончательно освободилась от рабства и возвратилась к Матери-Грузии [10. стр. 236].

Грузинский народ в этой войне единодушно поддержал Россию, ибо он понимал, что победа России в войне способствовал бы освобождению отнятой Турками грузинской территории в лице Аджарии, и ее возвращению к Матери-Грузии.

Исходя из этого, мы говорим, что в грузинском этносе существует уникальный регион в лице Аджарии, где, несмотря на языковую и территориальную совокупность, имеются религиозные различия. Магометанские завоеватели насильственно сменили вероисповедание. Точкой отсчета мусульманских завоевателей считалось религиозное повиновение. Кто не считался с волей завоевателей, их убивали или ссылали. Исторические источники повествуют, что как в верхней Аджарии, так и в прилегающих к Батуми селах население оказалось большое сопротивление турецко-османскому господству. “Самое большое сопротивление османам оказали Мачахельцы. Больше крови пролили они во имя веры и религии” [3. стр. 19].

Историк А. Сургуладзе полагает, что в числе политиков “мусульманской Грузии” Селим Химшиашвили первый, кто отказался повиноваться султану [5. стр. 91]. Он был истинным патриотом. Разные источники указывают, что он, как великий Грузин, пошел на самопожертвование. Его коварно, изменой схватили и отсекли голову [4. стр. 383]. Селим-Паша стал жертвой тех помыслов и желаний, посредством которых османская Грузия должна была связаться с российской Грузией [9. стр. 107].

Из этого маленького повествования отчетливо видно, что население было вынуждено спастись хотя бы ценой вероисповедания. Они твердо верили, что рано или поздно возвратятся к Матери-Родине. К сожалению, это произошло не так уж скоро. В течение трех веков смена поколений в Аджарии происходила при соблюдении чисто мусульманских ритуалов, но с большим почтением к грузинским традициям. В свое время З. Чичинадзе писал: “Никто не проливал столько крови за страну и веру, сколько пролили Аджарцы” [8. стр. 171].

Для населения, оторванного от грузинских традиций и обычая, лишенного образования и культуры, решение бытовых проблем началось после советизации Грузии, когда всеобщее среднее образование стало обязательным. Социализм предоставил населению возможность получения образования, хотя одновременно осудил религию и соблюдение религиозных ритуалов.

Индифферентность к религии и параллельно повышение уровня жизни, переоценка целого спектра ценностей освободила живущую в Аджарии грузинскую женщину от ношения чадры, от пагубных обычая, от вынужденного брака. Прохождение через эти и многие другие социальные фильтры превратило покорную аджарскую мусульманку в одну из действенных главных сил социума. А выдвижение на передний план национальных и культурных ценностей среди населения окончательно способствовало консолидации нации.

Те социальные условия, в которых среди освободившегося от турецкого рабства населения поэтапно происходила переоценка ценностей и ценностных ориентаций, можно разделить на две части: 1) в начале 20-го века интеллигенция Аджарии пытается освоить грузинские традиции; 2) грузинским бытом и сознанием живет население Аджарии (имеются в виду высокогорные села Аджарии) с начала II половины 20-го века, когда всеобщее

среднее образование стало обязательным, а прогресс экономики способствовало повышению уровня культуры в социуме, что вызвало необходимость уточнения норм поведения.

Если учесть тот факт, что трехсотлетнее сожительство с турками оказалось своеобразное влияние на речь проживающего в Аджарии населения, именно после открытия общеобразовательных средних школ в их речевой культуре произошло возникновение “фильтрующего эффекта”. Население уже могло пользоваться определенной, свойственной грузинскому языку речевой культурой. Для населения культура и просвещение стали приоритетными в контексте с другими ценностями.

Мы беседовали о 300-летнем господстве Турок в Аджарии и проводимой ими ассимиляционной политике, что повлекло с собой геноцид населения. Завоеватели владели большими ресурсами власти. Они вынуждали население сменить язык и культуру на нежелательную для них культуру, то есть на фоне насилия происходила **аккультурация** населения. Этот процесс продолжался от поколения к поколению, чем была вызвана социальная адаптация к той религии и к тем обычаям, которые передавались от предыдущего поколения. Вынуждение и навязывание чужой религии в большинстве населения все-таки вызывало негативные чувства и дискомфорт.

После русско-турецкой войны 1877-78 гг., когда Аджария освободилась от турецкого рабства, в мыслительных процессах населения относительно религии произошла **сегрегация**, то есть часть проживающего в Аджарии населения возвратилась к христианской религии и грузинской культуре, а часть сохранила мусульманское вероисповедание, но освоила жизненные нравы и ценности, характерные для грузинского этноса; то есть стала целесообразной взаимная толерантность двух религий в одном этносе и появилась возможность их реального существования.

На протяжении многих лет во взаимоотношениях Грузин-христиан и Грузин-магометан, несмотря на религиозные различия, произошла **интеграция**. Представители обоих религиозных течений производят идентификацию с национальностью и находят положительные моменты во взаимоотношениях выбранных или ценностных приоритетов с социальной политикой, индивидуальным опытом, поведением, аттитюдами и т.д., стараются дискриминировать отрицательные процессы из тех процессов, которые связаны с характерными для них специфическими социальными и культурными обстоятельствами.

Религиозная жизнь - писал Шлейермахер - ни что иное, чем постоянное обновление этого процесса... Человек не должен ничего делать от религии, а делать и осуществлять вместе с религией, непрерывно, подобно божественной музыке; религиозное чувство должно сопутствовать его деятельной жизни и нигде, никогда не должен терять его [12. стр. 63].

Психоаналитическая традиция современной глубины понятия религии берет свои истоки от Фрейда. Нельзя сказать, что Фрейд не воспринимал религию как не имеющую никакой ценности, в своих трудах он указывал, что человек остается человеком тогда, когда он верит во что-нибудь. Человек, который не верит ни во что, еще не человек, или уже не человек. Вопрос стоит таким образом: именно во что верит человек - в бога, разум, науку, будущее, идею или идеалы? [11. стр. 40].

Если между внутренним Я и наружным Я верующего нет совокупности, тогда ему трудно проявить независимость и инициативу при решении принципиальных вопросов. Особую роль во внутреннем Я верующего выполняет церковь. В постоянной связи с церковью находится тот субъект, который считает себя верующим; или же в контакте с церковью остается тот субъект, который желает стать верующим. С помощью церкви верующий человек умудряется приблизиться к Богу. Бог для верующего - все, что без божьей воли нет ни знаний, ни познания, что именно Бог даст человеку чувство осознания бесконечности в конечном.

Мы не имеем права строго, предвзято судить при критическом анализе главных ценностных критериев и анализе вопроса из благородства. Человеческий разум сам должен перенимать от религии желаемое, полезное, необходимое, что он сумеет осуществить в ежедневной бытности.

Особую осторожность следует проявлять при изучении межкультурных и межрелигиозных различий. Мы, социальные психологи, при исследовании религиозных вопросов должны изучить не только основы религии, но и уметь смелыми экспериментами проверять гипотезы, выдвинутые в совокупности с временным фактором и, соответственно, способствовать внедрению желательных экспериментальных итогов в широкие слои населения, а также способствовать дискrimинации отрицательных процессов.

Мы в нашем общем обзоре не собираемся отдавать предпочтение какой-нибудь религии. В начале XXI-го века в Грузии существует полная свобода выбора. Быт населения Аджарии - грузинский. Всему этому наилучшим образом способствуют государство и общество. Они стараются прийти к соотношению при решении глобальных вопросов.

Проведенные нами исследования лишний раз подтвердили, что разница в ценностных ориентациях Грузин-магометан и Грузин-христиан незначительна - при этом как Грузины-магометане, так и Грузины-христиане больше идентифицируют себя с грузинской национальностью, нежели с вероисповеданием [6].

Мы также исследовали, как представлено понятие "Грузин-христианин" и "Грузин-магометанин" в сознании Грузин, какое значение приписывают они этому понятию. Оказалось, что обе группы при оценке почти одинаково толкуют понятие "Грузин-христианин", то есть, обе группы более ассоциируются с национальностью, чем с религией [7].

---

### Литература:

1. Вахушти Багратиони. Описание Грузинского Царства.
2. Вахушти Багратиони. Жизнь Грузии II.
3. Кахидзе Н. "Мачахельское ущелье. Издательство "Сабчота Аджара". Батуми. 1972.
4. Комахидзе Т. "Дуди Ханум Бежанидзе и его сын Шериф-Бег Химшиашвили". Издательство "Аджара". Батуми. 2002 г.
5. Сургуладзе А. "Селим Химшиашвили". Издательство "Сабчота Аджара". Батуми. 1986.
6. Путкарадзе Ц. "Ориентации ценностей Грузин-христиан и Грузин-магометан"; "Меконцепция (сравнительный анализ) Грузин-христиан и Грузин-магометан" // периодический научный журнал "Интелекты" N3(17)2003; N1(18)2004.
7. Путкарадзе Ц. "Как отражается значение понятия Грузина-христиана и Грузина-магометанина в сознании Грузина".
8. Чичинадзе З. "Грузины-муслымане и их села в Грузии". Тифлис, 1913.
9. Химшиашвили И. "Химшиашвили". Издательство "Алиони". Батуми, 2003.

---

**Статья получена:** 2005-12-02

## ქრისტიანული და მუსულმანური რელიგია აჭარაში – მოკლე ფსიქოლოგიური ანალიზი ცირა ფუტკარაძე

### ანოტაცია

ნაშრომი იწყება აჭარის ისტორიული წარსულის მიმოხილვით. აღწერილია ის მძიმე ხედრი, რაც თურქმა დამპყრობლებმა არგუნეს მათ. იძულებით სარწმუნოების შეცვლამ და მაჰმადიანური ტრადიციების დამკვიდრებამ ხელი შეუშალა აჭარაში ქრისტიანული კულტურის კერძის აღორძინებას.

სამასი წლის განმავლობაში თურქი დამპყრობლები ანგრევდნენ კლესიებს, სპობდნენ ყოველგვარ ქართულ ნიშან-წყალს. ეს საშინელი კოშმარი გაგრძელდა 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომამდე, როცა აჭარა საბოლოოდ განთავისუფლდა მოხობისგან და დაუბრუნდა დედა-საქართველოს.

ნაშრომში მოკლედ აღწერილია, რომ სოციალიზმის პერიოდში აჭარაში აუცილებელი გახდა საყოველთაო-საშუალო განათლება, თუმცა სახელმწიფომ პარალელურად დაგმო რელიგია და რელიგიის სამსახური.

აჭარის მაღალმთანი სოფლების მოსახლეობის საყოველთაო განათლება განსაკუთრებით მიზანმიმართულად ხდებოდა მე-20 ს-ის მე-2 ნახევრის დასაწყისიდან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ თურქებთან აჭარაში მცხოვრებ მოსახლეობის მეტყველებაზე თავისებური ზეგავლენა მოახდინა, სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების გახსნის შემდეგ მათ სამეტყველო კულტურაში მოხდა „მფილტრაცი ეფექტის“ წარმოქმნა. მოსახლეობას უკვე შეეძლო ქართული ენისთვის დამახასიათებელი განსაზღვრული სამეტყველო კულტურით ესარგებლა. მოსახლეობისთვის კულტურა და განათლება უფრო პრიორიტეტული გახდა სხვა ღირებულებებთან კონტუქსტში.

ნაშრომში გაკეთებულია მოკლე ფსიქოლოგიური ანალიზი, თუ რამ გამოიწვია აჭარაში ორი რელიგიური მიმდინარიების – ქრისტიანობის და მაჰმადიანობის ტოლერანტობა.

მრომაში აღწერილია, თუ რა შედეგები მოგვია ექსპერიმენტების ჩატარებამ აჭარაში მცხოვრები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ღირებულებების და ღირებულებებითი ორიენტაციების კვლევისას. აღმოჩნდა, რომ აჭარაში მცხოვრები ქართველები უფრო მეტად იდენტიფიცირდებიან ეროვნებასთან, ვიდრე რელიგიასთან.

**საკვანძო სიტყვები:** ქრისტიანული და მუსულმანური რელიგია, აჭარა, ფსიქოლოგიური ანალიზი

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხეა თავისი ცხოვრებით, მრწამსით და რელიგიურობით. ოფიციალური წყაროები და ეკლესიათა ნანგრევები ამტკიცებენ, რომ სწორედ აჭარიდან დაიწყო საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შემოსვლა.

ქართული ეთნოსის სამეტყველო კულტურაში ხშირად მოიხსენიება სიტყვა „აჭარლები“. ვინ არიან აჭარლები?

აჭარლები ქართველების ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფია. არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობა. მშობლიური ენა ქართული. თურქთა ბატონობის პერიოდში (XVI ს. II ნ. – 1878) დამპყრობლებმა იძულებით მიაღებინეს მაჰმადიანური სარწმუნოება. ძალდატანებით გათურქების მიუხედავად აჭარლებმა შეინარჩუნეს ეროვნული თვითშევნება, მშობლიური ენა; თუმცა იძულებით გამაჰმადიანებამ თავისებური დაღი დააჩნია მათ კულტურას. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ სამხრეთის ქართველები ადრე იყვნენ „ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა“ [1. გვ. 123].

სამხრეთ საქართველოში ქრისტიანობა სხვადასხვა მხარეში მეტნაკლებად შემორჩა. მაგ., კლარჯეთის მოსახლეობის მეტი წილი გამაჰმადიანდა. „არღარა იყო ქრისტიანე თვინიერ გლეხთა, არამედ იგინიცა მცირედ სამცხეს, თვინიერ ჯავახეთისა და უმცირესად შავშეთს, აჭარას და არტანს“ [2. გვ. 264].

სამასი წლის განმავლობაში თურქი დამპყრობლები აჭარაში ახორციელებდნენ მკაცრ ასიმილატორულ პოლიტიკას – ანგრევდნენ ეკლესიებს, სპობდნენ ყოველგვარ ქართულ ნიშანწყალს. გამაჰმადიანებული მოსახლეობის როგორც ქვედა ფენებისთვის, ასევე ზედა ფენებისთვის თურქული ენის ცოდნა აუცილებელი გახდა. ეს საშინელი კოშმარი აჭარაში მცხოვრები მოსახლეობისათვის გაგრძელდა 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომამდე, როცა აჭარა საბოლოოდ განთავისუფლდა მონობისაგან და დაუბრუნდა დედა-საქართველოს [10. გვ. 236].

ქართველმა ხალხმა ამ ომში ერთსულოვნად მხარი დაუჭირა რუსეთს, რადგან მას ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ხელს შეუწყობდა. თურქებისგან მიტაცებული საქართველოს ტერიტორიის განთავისუფლებას აჭარის სახით და მის დაბრუნებას დედა-სამშობლოსთან.

აქედან გამომდინარე ვამბობთ, რომ ქართულ ეთნოსში არის უნიკალური რეგიონი აჭარის სახით, სადაც ენობრივი და ტერიტორიული თანხვედრის მიუხედავად რელიგიათა სხვადასხვაობაა. მაჰმადიანმა დამპყრობლებმა რჯულის შეცვლა აჭარაში ძალადობით მოახდინეს. მუსულმანი დამპყრობლების ათვლის წერტილად რელიგიური მორჩილება ითვლებოდა. ვინც არ იზიარებდა დამპყრობელთა ნებას, ისინი ჩახოცეს ან გადაასახლეს. ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ როგორც ზემო აჭარაში, ასევე ბათუმის მიმდებარე სოფლებში მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ოსმალების გაბატონებას. „ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ოსმალებს მაჭახლელებმა გაუწიეს. ყველაზე მეტი სისხლი რჯულისა და სარწმუნოების თაობაზე ამათ დაღვარეს“ [3. გვ. 19].

ისტორიკოსი ა. სურგულაძე „სამუსლიმანო საქართველოს“ პოლიტიკოსთა შორის სელიმ ხიმშიაშვილს უპირველესად მიიჩნევს, რომელმაც ოფიციალურად უარყო სულთნის მორჩილება [5. გვ. 91]. ის იყო გამორჩეული პატრიოტი. მისი, როგორც დიდი ქართველის თავგანწირვაზე მიუთითებს სხვადასხვა წყაროები. ის მუხანათურად, ღალატით შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს [4. გვ. 383]. სელიმ-ფაშა მსხვერპლი გახდა იმ მოსაზრებისა და ნატვრის, რაის საშუალებითაც ოსმალების საქართველო უნდა დაკავშირებოდა რუსეთის საქართველოს [9. გვ. 107].

ამ მცირე მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობა იძულებული გახდა თავი გადაერჩინა თუნდაც რჯულის ფასად. მათ მტკიცედ სჯეროდათ ადრე თუ გვიან ისინი დაუბრუნდებოდნენ დედა-სამშობლოს. სამწუხაროდ ეს არც ისე ადრე მოხდა. სამი

საუკუნის განმავლობაში თაობათა ცვლა აჭარაში ხდებოდა წმინდა მუსულმანური რიტუალების დაცვით, მაგრამ ქართული ტრადიციების დიდი პატივისცემით. თავის დროზე ზ. ჭიჭინაძე წერდა: „იმდენი სისხლი არავის დაუღვრია ქვეყნისა და რჯულისთვის, რამდენიც აჭარლებს“ [8. გვ. 171].

ქართულ ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, განათლებას, კულტურას მოწყვეტილი მოსახლეობისთვის ყოფითი პრობლემების გადაწყვეტა დაიწყო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როცა საყოველთაო-საშუალო განათლება აუცილებელი გახდა. სოციალიზმა მოსახლეობას განათლების მიღების საშუალება მისცა, თუმცა პარალელურად დაგმო რელიგიური რიტუალების დაცვა.

რელიგიისადმი ინდიფერენტულობამ და პარალელურად ცხოვრების დონის ამაღლებამ, მოსახლეობაში მთელ რიგ ღირებულებათა სპექტრის გადაფასებამ აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსულმანი ქალი გაათავისუფლა ჩადრის ტარებისგან, მავნე ადათ-წესებისგან, იძულებითი ქორწინებისგან. ამ და სხვა მრავალ სოციალურ ფილტრში გავლამ აჭარელი მუსულმანი მორჩილი ქალი გადაქცია სოციუმის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ ძალად. მოსახლეობაში ეროვნული და კულტურული ღირებულებების წინა პლანზე წამოწევამ კი საბოლოოდ შეუწყო ხელი ერის კონსოლიდაციას.

ის სოციალური პირობები, რომელშიც ეტაპობრივად ხდებოდა თურქთა მონობისგან გათავისუფლებული მოსახლეობის ღირებულებების და ღირებულებითი ორიენტაციების გადაფასება, შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: 1) მე-20 ს-ის დასაწყისში აჭარის ინტელიგენცია ცდილობს ქართული ტრადიციების გათავისებას; 2) ქართული ყოფითა და ცნობიერებით ცხოვრობს აჭარის მოსახლეობა (მხედველობაში მაქვს აჭარის მაღალმთანი სოფლები) მე-20 ს-ის II ნ-ის დასაწყისიდან, როცა საყოველთაო-საშუალო განათლება აუცილებელი გახდა, ხოლო ეკონომიკის წინსვლამ ხელი შეუწყო სოციუმში კულტურის დონის ამაღლებას, რამაც გამოიწვია ქცევის ნორმების დახვეწის აუცილებლობა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ თურქებთან აჭარაში მცხოვრები მოსახლეობის მეტყველებაზე თავისებური ზეგავლენა მოახდინა, სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების გახსნის შემდეგ მათ სამეტყველო კულტურაში მოხდა „მფილტრაცი ეფექტის“ წარმოქმნა. მოსახლეობას უკვე შეეძლო ქართული ენისთვის დამახასიათებელი განსაზღვრული სამეტყველო კულტურით ესარგებლა. მოსახლეობისთვის კულტურა და განათლება უფრო პრიორიტეტული გახდა სხვა ღირებულებებთან კონტექსტში.

ჩვენ ვისაუბრეთ აჭარაში თურქთა 300-წლოვან ბატონობაზე და მათ მიერ გატარებულ ასიმილატორულ პოლიტიკაზე, რამაც გამოიწვია მოსახლეობის გენოციდი. დამპყრობლებს გააჩნდათ ძალაუფლების დიდი რესურსები. ისინი აიძულებდნენ მოსახლეობას ენისა და კულტურის მათთვის არასასურველ კულტურაში გადაცვლას, ანუ ძალადობის ფონზე მიმდინარეობდა მოსახლეობის აკულტურაცია. ეს პროცესი გრძელდებოდა თაობიდან თაობაში, რამაც გამოიწვია სოციალური ადაპტაცია იმ რელიგიისა და ზნე-ჩვეულებების მიმართ, რაც წინა თაობისაგან გადმოეცემოდათ. ძალდატანება და უცხო რელიგიის თავს მოხვევა მოსახლეობის უმრავლესობაში მაინც იწვევდა ნეგატიურ გრძნობებს და დისკომფორტს.

1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, როცა აჭარა განთავისუფლდა თურქთა მონობისგან, მოსახლეობის აზროვნების პროცესებში რელიგიის თვალსაზრისით მოხდა სეგრეგაცია, ანუ აჭარაში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი დაუბრუნდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ქართულ კულტურას, ნაწილმა კი შეინარჩუნა მუსულმანური

სარწმუნოება, მაგრამ ცხოვრების ნირი და ღირებულებები, ქართული ეთნოსისთვის დამახასიათებელი, გაითავისა; ანუ მიზანშეწონილი გახდა ერთ ეთნოსში ორი რელიგიური მიმდინარეობის ერთმანეთის მიმართ ტოლერანტობა და შესაძლებელი გახდა რეალურად მათი არსებობა.

წლების მანძილზე აჭარაში მცხოვრებ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებში, მიუხედავად რელიგიათა სხვადასხვაობისა, ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებაში მოხდა ინტეგრაცია. ორივე რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები იდენტიფიცირებას ახდენენ ეროვნებასთან და დადებით მომენტებს პოულობენ ურთიერთდამოკიდებულებაში მათ მიერ შერჩეული ღირებულებითი პრიორიტეტებისა სოციალურ პოლიტიკასთან, ინდივიდუალურ გამოცდილებასთან, ქცევასთან, ატიტუდებთან და ა.შ., ცდილობენ უარყოფითი პროცესების დისკრიმინაციას პროცესებიდან, რომლებიც დაკავშირებულია მათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ სოციალურ და კულტურულ გარემოებასთან.

რელიგიური ცხოვრება – წერდა შლეიერმახერი – სხვა არაფერია თუ არა მუდმივი განახლება ამ პროცესისა... ადამიანი არაფერს არ უნდა აკეთებდეს რელიგიიდან, არამედ ყველაფერს უნდა აკეთებდეს და ახორციელებდეს რელიგიასთან ერთად, უწყვეტად, საღმრთო მუსიკის მსგავსად; რელიგიური გრძნობა თან უნდა სდევდეს მის მოქმედ ცხოვრებას და არსად, არასოდეს ის არ უნდა კარგავდეს მას [12. გვ. 63].

რელიგიის გაგების თანამედროვე სიღრმის ფსიქოანალიტიკური ტრადიცია სათავეს ფრონდიდან იღებს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ფრონდი რელიგიას არანაირ ღირებულებად არ შეიცნობდა, თავის შრომებში ის მიუთითებდა, რომ ადამიანი რჩება ადამიანად მაშინ, როცა რაღაცის სჯერა. არაფრისადმი ურწმუნო ადამიანი ეს ჯერ კიდევ არაა ადამიანი, ან უკვე აღარაა ადამიანი. საკითხი დგას შემდეგი სახით, სახელდობრ რისი სჯერა ადამიანს: ღმერთის, გონების, მეცნიერების, მომავლის, იდეის თუ იდეალების? [11. გვ. 40].

თუ მორწმუნის შინაგან მე-ს და გარეგან მე-ს შორის არ არის თანხვედრა, მაშინ მისთვის რთულია გამოავლინოს დამოუკიდებლობა და ინიციატივა პრინციპული საკითხების გადაწყვეტის დროს. განსაკუთრებულ როლს მორწმუნის შინაგან მე-ში ასრულებს ეკლესია. ეკლესიასთან მუდმივ კავშირშია ის სუბიექტი, რომელიც თავს თვლის მორწმუნედ; ან ის სუბიექტი რჩება კონტაქტში ეკლესიასთან, რომელსაც სურს გახდეს მორწმუნე. ეკლესიის საშუალებით მორწმუნე ადამიანი ახერხებს ღმერთთან მიახლოებას. ღმერთი მორწმუნისთვის ნიშნავს ყველაფერს, რომ ღვთის ნების გარეშე არ არის არც ცოდნა და არც შემეცნება, რომ სწორედ ღმერთი მისცემს ადამიანს უსასრულობის სასრულობაში შეერმნების გრძნობას.

ჩვენ არა გვაქვს უფლება მკაცრი, მიკერძოებული განსჯა მოვახდინოთ მთავარი ღირებულებითი კრიტერიუმების და მათი კეთილშობილების საკითხის კრიტიკული ანალიზის დროს. ადამიანის გონება თვითონ უნდა ახერხებდეს რელიგიიდან მისთვის სასურველის, სასარგებლოს, აუცილებელის გადმოღებას, რის განხორციელებასაც თვითონ მოახერხებს ყოველდღიურ ყოფიერებაში.

განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს კულტურათაშორისო და რელიგიათაშორისო განსხვავებების შესწავლისას. სოციალური ფსიქოლოგები რელიგიის საკითხების კვლევისას უნდა ვსწავლობდეთ არა მხოლოდ რელიგიის საფუძვლებს, არამედ უნდა შეგვეძლოს დროის ფაქტორთან თანხვედრაში მიღებული ჰიპოთეზების გაბედული ექსპერიმენტებით შემოწმება და შესაბამისად ხელს

ვუწყობდეთ მოსახლეობის ფართო მასებში სასურველი ექსპერიმენტული შედეგების დანერგვას, ხოლო უარყოფითი პროცესების დისკრიმინაციას.

ჩვენს ზოგად მიმოხილვაში არ ვაპირებთ რომელიმე რელიგიისადმი უპირატესობის მინიჭებას. XXI-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში რელიგიის არჩევანის სრული თავისუფლებაა. რელიგიათა სხვადასხვაობის მიუხედავად აჭარის მოსახლეობის ყოფა ქართულია. ყოველივე ამის საუკეთესო ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება სახელმწიფო და საზოგადოება. ორივე მათგანი ცდილობს გლობალური საკითხების გადაწყვეტის დროს თანაფარდობაში მოვიდნენ.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მაჰმადიანი ქართველების და ქრისტიანი ქართველების ღირებულებით ორიენტაციებში უმნიშვნელო განსხვავებაა. – ამასთან, როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ქართველები თავიანთი თავის იდენტიფიკაციას უფრო ქართველობასთან ახდენენ, ვიდრე მათ აღმსარებლობასთან [6].

ვიკლიეთ აგრეთვე, თუ როგორაა წარმოდგენილი „ქრისტიანი ქართველის“ და „მაჰმადიანი ქართველის“ ცნება მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების ცნობიერებაში, თუ რა მნიშვნელობა მიეწერება მათ მიერ თითოეულ ამ ცნებას. აღმოჩნდა, რომ ორივე ჯგუფი შეფასებებისას თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობას მიაწერს „ქრისტიანი ქართველის“ ცნებას, ანუ ორივე ჯგუფი უფრო მეტად ასოცირდება ეროვნებასთან, ვიდრე რელიგიასთან [7].

### **ლიტერატურა:**

1. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.
2. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ცხოვრება II.
3. ვახიძე ნ. „მაჭახლის ხეობა“. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი, 1974 წ.
4. ვომახიძე თ. „დუდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი“. გამომცემლობა „აჭარა“. ბათუმი, 2002 წ.
5. სურგულაძე ა. „სელიმ ხიმშიაშვილი“. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი, 1986წ.
6. ფუტკარაძე ც. – „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ღირებულებათა ორიენტაციები“; „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების მეკონცეპცია (შედარებითი ანალიზი) // პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ N3(17)2003; N1(18)2004.
7. ფუტკარაძე ც. „როგორ აისახება ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის ცნების მნიშვნელობა ქართველის ცნობიერებაში“.
8. ჭიჭინაძე ზ. „მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში“, თბილისი, 1913.
9. ხიმშიაშვილი ი. „ხიმშიაშვილები“. გამომცემლობა „ალიონი“. ბათუმი, 2003 წ.
10. Русско-Турецкая война 1877-78. М. Военное издательство. Мин. Об. СССР. 1977.
11. Фрейд З. ‘Психология масс и анализ человеческого “Я” М. 1925 г.
12. Шлейермахеръ. Речи о религии. “К образованным людям, ее презирающим”. Монологи. М. 1911.